

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს,

ბატონ მამუკა წოწერიას

პეტიციის განხილვის თაობაზე განცხადების წარმდგენი

სუბიექტის მომხსენებლის

სახელი, გვარი: ნინო ყორშია

პირადი ნომერი: [REDACTED]

მისამართი: [REDACTED]

ტელეფონის ნომერი: [REDACTED]

განცხადება პეტიციის წარდგენის (განხილვის) თაობაზე

პეტიცია

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ერგეტისა და ცვანეს ადმინისტრაციულ ერთეულებში ძირითადი საავტომობილო გზის მოასფალტება და გარეგანათების მოწყობა

ბატონო მამუკა,

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ერგეტისა და ცვანეს ადმინისტრაციული ერთეულების მაცხოვრებლები ითხოვენ ამ ორ სოფელში არსებული ძირითადი საავტომობილო გზის მოასფალტებასა და გარეგანათების მოწყობას.

ერგეტის ადმინისტრაციული ერთეულის შემთხვევაში ძირითად საავტომობილო გზა გახლავთ: ერთის მხრივ ერგეტის ცენტრიდან ამავე სოფლის „დიდი გვიმარის“ დასახლებაში გამავალი გზა, მეორეს მხრივ კი ერგეტა-ცვანეს დამაკავშირებელი გზის დარჩენილი, მოუასფალტებელი მონაკვეთი.

ცვანეს ადმინისტრაციული ერთეულის შემთხვევაში კი ერგეტიდან ცვანეს გავლით შავი ზღვის სანაპირო ზოლამდე მიმავალი გზა.

მოქალაქეები მოითხოვენ გზის ზემოაღნიშნული მონაკვეთების მოასფალტებასა და გარეგანათების სისტემის მონტაჟს.

გთხოვთ, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 86-ე მუხლის, მე-4 პუნქტის, „გ“ ქვეპუნტის ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ წარმოდგენილი პეტიცია განიხილოს მიმდინარე წლის **ნოემბერში**, მხარი დაუჭიროს



მას და შემდგომ კი მუნიციპალიტეტმა პეტიციის მოთხოვნები ასახოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის შემდეგი, 2021 წლის ბიუჯეტში.

პეტიციისცემით,

ნინო ყორშია - პეტიციის წარმდგენი სუბიექტის მომხსენებლები

ხელმოწერა: *ნ. ყორშია*

პეტიციის წარმდგენის თარიღი: 06.10.2020წ

დანართები:

1. პეტიციის წარმდგენი ამომრჩევლების სია, ბლანკები (64 ფურცელი)
2. პეტიციის განხილვის თაობაზე განცხადების წარმდგენი სუბიექტის მომხსენებლის პირადობის მოწმობის ასლი (1 ფურცელი)